პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების ზოგადი წესები და პირობები

მუხლი 1. დოკუმენტის არსი

1. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების ზოგადი წესები და პირობები წარმოადგენს პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მოხმარების ძირითადი რეგულაციების აღწერას.

2. სერტიფიკატების გაცემა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და შემდეგი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტებით:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების გაცემისა და მომსახურების პოლიტიკა“ (შემდგომ - პოლიტიკა), რომელიც ფიზიკური პირის სახელზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატთან მიმართებით ეფუძნება QCP-n-qscd პროფილის მოთხოვნებს (იდენტიფიკატორი 0.4.0.194112.1.2), ხოლო ავთენტიფიკაციის სერტიფიკატთან მიმართებით - NCP+ პროფილის მოთხოვნებს (იდენტიფიკატორი 0.4.0.2042.1.2);

ბ) „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი“ (შემდგომ - შინაგანაწესი) (დოკუმენტის იდენტიფიკატორია 1.3.6.1.4.1.37733.10.1.2.4.3).

3. პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორია:

ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატთან მიმართებით: 1.3.6.1.4.1.37733.10.3.1.1.0;

ბ) ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატთან მიმართებით: 1.3.6.1.4.1.37733.10.4.1.1.0.

4. ამ მუხლში მითითებული ყველა დოკუმენტი ქვეყნდება მისამართზე: https://id.ge/pki.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ ბრძანების მიზნებისთვის ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებაში გამოყენებულ ტერმინებს.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

წარმომადგენელი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - ასევე მშობელი/მშვილებელი) ან მხარდამჭერი.

მუხლი 3. სანდო მომსახურების მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია

ინფორმაცია სანდო მომსახურების მიმწოდებლის შესახებ: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (მისამართი: სანაპიროს ქ. N2, 0114, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 240 10 10; ელფოსტა - online.sda.gov.ge; ვებგვერდი - www.sda.gov.ge).

მუხლი 4. დოკუმენტის მართვა

1. ამ ბრძანების შეფასება/განხილვა უნდა მოხდეს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და, საჭიროების შემთხვევაში, შევიდეს მასში ცვლილებები.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით მითითებულ ვებგვერდზე ქვეყნდება ამ დოკუმენტის ყველა ცვლილების პროექტი, დოკუმენტში შესული ყველა ცვლილება და შესაბამისი კოდიფიცირებული ვერსია.

3. მომსახურების ზოგად წესებსა და პირობებში ცვლილების შეტანამდე არაუგვიანეს 30 დღისა სანდო მომსახურების მიმწოდებელი აქვეყნებს ცვლილებების პროექტს. აღნიშნულ პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს საშუალება აქვთ, ცვლილებების პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები წერილობით მიაწოდონ სანდო მომსახურების მიმწოდებელს.

4. წინამდებარე დოკუმენტი კოდიფიცირებული ფორმით (ყველა ცვლილების ასახვით) ქვეყნდება ელექტრონული ფაილის სახით, PDF ფორმატში.

5. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობასთან ერთად ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების, ასევე, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატებთან ერთად პერსონალური ავთენტიფიკაციის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აქტივაციისა და განბლოკვის კოდების განმეორებით მოთხოვნით განცხადებების წარდგენისას განმცხადებელს გადაეცემა ეს დოკუმენტი, რასაც ადასტურებს სამახსოვრო ბარათზე ხელმოწერით.

მუხლი 5. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატები, სერტიფიკატის მოთხოვნა და გაუქმება

1. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე გაიცემა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი. სრულწლოვან პირზე თითოეული სერტიფიკატი გაიცემა 2 წლის და 6 თვის მოქმედების ვადით, ხოლო არასრულწლოვანზე სერტიფიკატი გაიცემა პირის სრულწლოვანებამდე დარჩენილი, მაგრამ არაუმეტეს 2 წლისა და 6 თვის, ვადით.

2. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი წარმოადგენს კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატს და მისი დანიშნულებაა ელექტრონულ სისტემებში სუბიექტის მტკიცე რწმუნებით იდენტიფიკაცია და ავთენტიფიკაცია, მასთან უსაფრთხო კავშირის დამყარების და ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით.

3. დაუშვებელია ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის მოთხოვნა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატისაგან დამოუკიდებლად.

4. ამ მუხლით განსაზღვრული მომსახურების მიზნებისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარმოადგენს სააგენტოს ის სტრუქტურული ან/და ტერიტორიული ერთეული, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გაცემისა და/ან გაუქმების შესახებ განცხადების მიღებასა და დამუშავებას.

5. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მისაღებად პირი პირადად უნდა გამოცხადდეს მარეგისტრირებელ ორგანოში და გაიაროს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის N98 ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგენილი პროცედურა. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის წარმომადგენლის მეშვეობით მიღებისას, თუ სუბიექტი არის 9 წლის ან მეტის, სავალდებულოა მისი გამოცხადება განცხადების წარდგენისას ან მოგვიანებით, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დოკუმენტის დამზადებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სუბიექტს ჯანმრთელობის/ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია პირადი ხელმოწერის შესრულება.

6. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გაცემასთან ერთად, ერთი განცხადების ფარგლებში გაიცემა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატები. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე მისი შეცვლის გარეშე გასაღების წყვილის განახლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმობა ვარგისია. ამ შემთხვევაში გასაღების წყვილი შეიძლება განახლდეს როგორც სერტიფიკატის ვადის გასვლამდე, ისე მის შემდეგ და სერტიფიკატის განმეორებით გაცემა შესაძლებელია მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის პირადად გამოცხადებით ან დისტანციურად, ვებგვერდის მეშვეობით. სერტიფიკატების განმეორებითი გაცემის მოთხოვნის უფლება აქვს მოქმედი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მფლობელ პირს 14 წლის ასაკიდან.

7. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გამოიცემა სუბიექტის მიერ სერტიფიკატის გაუქმების მოთხოვნის სააგენტოში წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

8. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი უქმდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დღეს.

მუხლი 6. სერტიფიკატის სუბიექტისთვის ან წარმომადგენლისთვის გადაცემა

1. თუ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატები პირადობის/ბინადრობის ელექტრონულ მოწმობასთან ერთად გადაეცემა პირადად სუბიექტს, იგი სერტიფიკატის მიღებას ადასტურებს მოწმობის გაცემის განცხადება-ანკეტაზე ხელმოწერით. ამ ხელმოწერით პირი ასევე ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება

წინამდებარე წესებსა და პირობებს, მათ შორის, მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ვადებსა და პირობებს.

2. თუ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატები პირადობის/ბინადრობის ელექტრონულ მოწმობასთან ერთად გადაეცემა წარმომადგენელს, იგი სერტიფიკატის მიღებას ადასტურებს მოწმობის გაცემის განცხადება-ანკეტაზე ხელმოწერით. ამ ხელმოწერით წარმომადგენელი ასევე ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს, მათ შორის, მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ვადებსა და პირობებს. წარმომადგენელი ვალდებულია 14 წელს მიღწეულ სუბიექტს გააცნოს ეს დოკუმენტი.

3. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე სერტიფიკატის განმეორებით გაცემად მიიჩნევა ელექტრონული სისტემის მიერ დაფიქსირებული ტექნიკური დასტური პირადობის (ბინადრობის) მოწმობის ელექტრონულ მატარებელზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების ჩაწერის შესახებ.

მუხლი 7. სერტიფიკატის გამოყენების სფერო და სანდოობის საზღვრები

1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ელექტრონულ დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად. შესაბამისი დახურული გასაღები ინახება პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე, რომელიც არის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალება (მოწყობილობა).

2. ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ელექტრონულ სისტემებში იდენტიფიკაციისა და ავთენტიფიკაციისათვის, მასთან უსაფრთხო კავშირის დამყარებისა და ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისი დახურული გასაღები ინახება პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე - მოწყობილობაზე, რომელიც უზრუნველყოფს გასაღების უსაფრთხოებას და დაცვას არაავტორიზებული წვდომისაგან.

3. სერტიფიკატების გაუქმების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში არანაკლებ 10 წლის ვადით.

4. ღია გასაღების ინფრასტრუქტურის კომპონენტების ხდომილებები ინახება, სულ მცირე, 10 წლის ვადით.

5. სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში, ასევე მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაგრძობს აღნიშნულ მომსახურებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 8. სუბიექტისა და წარმომადგენლის ვალდებულებები

1. სუბიექტი, რომელიც სარგებლობს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატით, ასევე მისი წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს შინაგანაწესით მოთხოვნილი სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია სერტიფიკატის მისაღებად;

ბ) სერტიფიკატში ასახული სუბიექტის ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, დროულად მ იაწოდოს ინფორმაცია სანდო მომსახურების მიმწოდებელს;

გ) გასაღების წყვილი/სერტიფიკატი გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე დოკუმენტით მითითებული დანიშნულებით;

დ) გაეცნოს მიღებულ სერტიფიკატებში მითითებულ ინფორმაციას და დროულად აცნობოს სანდო მომსახურების მიმწოდებელს გამოვლენილი უზუსტობების შესახებ;

ე) გაუფრთხილდეს საკუთარ დახურულ გასაღებს და არ დაუშვას მისი გამოყენება არაუფლებამოსილი პირების მიერ;

ვ) გამოიყენოს მხოლოდ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა და არ ეცადოს საკუთარი დახურული გასაღების (რომელიც შეესაბამება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატს) მოწყობილობიდან ამოღებას ან გამოყენებას მის მიღმა, ნებისმიერი დანიშნულებით;

ზ) დახურული გასაღების არასანქცირებული გამოყენების ან მსგავს გამოყენებაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის, ასევე, აქტივაციის მონაცემების (PIN კოდების) არაუფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელში მოხვედრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სანდო მომსახურების მიმწოდებელს.

თ) არ გამოიყენოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატები და შესაბამისი დახურული გასაღებები სერტიფიკატების მოქმედების ვადის ამოწურვის, სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში ან/და იმ შემთხვევაში, თუ სანდო მომსახურების მიმწოდებელი მას აცნობებს კომპრომეტაციის თაობაზე.

მუხლი 9. კონტრაჰენტის ვალდებულება სერტიფიკატის სტატუსის გადამოწმების შესახებ

კონტრაჰენტი ვალდებულია, შეამოწმოს მიღებული სერტიფიკატის სტატუსი, რომლის საშუალებითაც ჩატარებულია შესაბამისი ოპერაცია და გაეცნოს შესაბამისი სერტიფიკატის მოქმედი კანონმდებლობითა და შინაგანაწესით დადგენილ გამოყენების პირობებს.

მუხლი 10. გაუქმებული სერტიფიკატების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. გაუქმებული სერტიფიკატების სია ქვეყნდება შემდეგ მისამართებზე: http://crl.cra.ge/geosigningca.crl (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი) და http://crl.cra.ge/geoauthenticationca.crl (ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატი). სია ხელმისაწვდომია მუდმივად და უსასყიდლოდ ნებისმიერი პირისთვის, შინაგანაწესით განსაზღვრული პირობებით.

2. სერტიფიკატის სტატუსის შემოწმება ასევე შესაძლებელია სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურებით, რომელიც შეზღუდული წარმადობის პირობით, მუდმივად და უსასყიდლოდ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://ocsp.cra.ge/ocsp. გარანტირებული წარმადობით აღნიშნული მომსახურების მიღება შესაძლებელია შინაგანაწესით დადგენილი წესით.

3. სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურება ხელმისაწვდომია შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კალენდარული თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია მომსახურების უწყვეტობა არანაკლებ 99%-ით;

ბ) კალენდარული თვის განმავლობაში მომსახურების შეფერხების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა შეადგენს შვიდს;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფერხების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 90 წუთი.

4. გაუქმებული სერტიფიკატების სია ხელმისაწვდომია შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კალენდარული თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია მომსახურების უწყვეტობა არანაკლებ 99%-ით;

ბ) ერთი და იმავე ქსელური მისამართიდან დასაშვებია გაუქმებული სერტიფიკატების სიის ფაილის ჩამოტვირთვა წუთში ერთხელ;

გ) კალენდარული თვის განმავლობაში მომსახურების შეფერხების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა შეადგენს შვიდს;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფერხების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 90 წუთი.

5. სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების საშუალებით გაუქმებულ სერტიფიკატებზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ სერტიფიკატის გაუქმებიდან არაუმეტეს 10 წუთის შემდეგ.

6. სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სერტიფიკატის გაუქმების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 წუთისა.

მუხლი 11. კომპრომეტირება და ავარიული აღდგენა

1. სანდო მომსახურების მიმწოდებლის უსაფრთხო სისტემის კომპრომეტირების, ასევე ინფორმაციის დაზიანების ან მისი ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, ავარიული აღდგენა ხდება: „ღია გასაღების ინფრასტრუქტურის კომპონენტების ხდომილებების მართვის პროცედურის“, „მონაცემთა ბაზების და პროგრამული უზრუნველყოფის სარეზერვო ასლების შექმნის პროცედურის“, „ბიზნესის უწყვეტობის გეგმისა“ და „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცედურის“ შესაბამისად.

2. დროის აღნიშვნის მომსახურების, გაუქმებული სერტიფიკატების სიისა და სერტიფიკატის შემოწმების ავტომატური მომსახურების მიწოდება ხდება პარალელურად მონაცემთა დამუშავების ძირითადი და სარეზერვო ცენტრებიდან. ერთ-ერთი ცენტრის გამორთვის შემთხვევაში მომსახურება არ შეწყდება.

მუხლი 12. სააგენტოს მიერ სანდო მომსახურების შეწყვეტა

1. სააგენტო შექმნილია და მოქმედებს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც მას ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად

უსაზღვრავს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და სანდო მომსახურების მიწოდებას საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით და „კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნას, გაცემასა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევას“. სააგენტოსთვის აღნიშნული ფუნქციის ჩამორთმევა შეუძლებელია საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნულ კანონში ცვლილების შეტანის გარეშე, რაც გულისხმობს აღნიშნული ცვლილების გამოქვეყნებასაც.

2. მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმით:

ა) თუ სააგენტოს ჩამოერთმევა აღნიშნული ფუნქცია და გადაეცემა სხვა პირს, გადაცემის წესები დარეგულირდება ამავე კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული საკანონმდებლო აქტით. თუ აღნიშნული აქტით სხვა რამ არ იქნება მითითებული, სააგენტო:

ა.ა) გაანადგურებს დროის აღმნიშვნელი ერთეულების გასაღებებს და შეწყვეტს მომსახურებას შესაბამისი შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვით;

ა.ბ) გადასცემს სერტიფიკატის სტატუსის შემოწმების მომსახურებას აღნიშნულ პირს;

ა.გ) გადასცემს ხდომილებათა ჟურნალს აღნიშნულ პირს.

ბ) თუ სააგენტოს აღნიშნული ფუნქცია ჩამოერთმევა ამ ფუნქციის სხვა პირისთვის გადაცემის გარეშე, სააგენტო შექმნის შინაგანაწესის 88-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამის, გაუქმებული სერტიფიკატების ბოლო სიებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის და დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების შესაბამისი ყველა სერტიფიკატისათვის, გაანადგურებს სანდო მომსახურების მიმწოდებლის უსაფრთხო სისტემების შესაბამის ყველა გასაღებს და მათ სარეზერვო ასლებს, ასევე, დროის აღმნიშვნელი ერთეულების გასაღებებს და შეწყვეტს ყოველგვარ მომსახურებას. ბოლო სიები გადაეცემა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს შეიძლება ასევე დროებით სარგებლობაში გადაეცეს უსაფრთხოების აპარატურული მოდულები, პროგრამული უზრუნველყოფა და ყველა ის მონაცემი, რომელიც აუცილებელია გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

3. დაინტერესებულ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ გაასაჩივრონ აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვონ მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დამდგარი შესაძლო ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

მუხლი 13. მომსახურების გაწევის ზოგადი რეგულაცია

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი მომსახურებას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდება ექვემდებარება პერიოდულ აუდიტს „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. დავები უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სანდო მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტებისა და კონტრაჰენტების მიმართ პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ პირდაპირი ზიანის მიყენების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. დაინტერესებული პირებისათვის ზიანის ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სერტიფიკატში მითითებული მონაცემები მიჩნეულია საჯარო მონაცემებად.

6. კომერციულ საიდუმლოებასა და პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სანდო მომსახურების მიმწოდებელი, სულ მცირე, 7 წლის განმავლობაში ინახავს განაცხადის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას.

8. სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, არანაკლებ 15 წლის ვადით შეინახოს:

ა) პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პროცედურების მიხედვით არსებული ჩანაწერები.